ქუთაისის
უნივერსიტეტი

დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის №ძ 72 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 10 მარტის №ძ 24 ბრძანებით, 2021 წლის 17 მაისის №ძ 82 ბრძანებითა და 2023 წლის 26 იანვრის №ძ 32 ბრძანებით.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის წესი

2020 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის პირობები 3

მუხლი 3. ატესტაციის ჩატარების წესი 4

მუხლი 4. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის საფუძველზე შეფასება 4

მუხლი 5. საჩივრის განხილვა 5

მუხლი 6. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები 6

დანართი №1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში 7

დანართი №2 გასაუბრების შეფასების ფორმა 13

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესით განისაზღვრება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის უვადოდ არჩეული პერსონალის მიერ ატესტაციის გავლის წესი და პირობები.

2. ატესტაცია სავალდებულოა პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ არჩეული აკადემიური პერსონალისთვის.

3. უვადოდ არჩეული პერსონალი ვალდებულია ყოველ 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ გაიაროს ატესტაცია, ატესტაციის გაუვლელობა ან წარუმატებლად გავლა იწვევს პერსონალის აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლებას. ატესტაციის პერიოდია 5 წელი, აღნიშნული ვადა აითვლება აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის უვადოდ დაკავების დღიდან.

მუხლი 2. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის პირობები

1. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაცია მიზნად ისახავს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას და აკადემიური თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან პერსონალის შესაბამისობის დადასტურებას.

2. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაცია მოიცავს „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის“ შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ყოველწლიურ შეფასებას (შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით: იხ. დანართი №1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში) და უვადოდ არჩეული პერსონალის საატესტაციო კომისიის წინაშე გასაუბრებას.

3. უვადოდ არჩეული პერსონალი ატესტაციის პირობების შესასრულებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევიდან ბოლო 5 წლის მანძილზე ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში დაგროვებულ ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს პროფესორისათვის არანაკლებ 250 (ორას ორმოცდაათი) ქულას, ასოცირებული პროფესორისათვის არანაკლებ 200 (ორასი) ქულას.

ბ) წინამდებარე წესის შესაბამისად შექმნილი საატესტაციო კომისიის წინაშე გაიაროს გასაუბრება და დააგროვოს არანაკლებ მაქსიმალურ ქულათა 70%. ქულების გამოთვლა ხორციელდება შემფასებლების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით *(დანართი №2 გასაუბრების შეფასების ფორმა).*

მუხლი 3. ატესტაციის ჩატარების წესი

1. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის ვადის (5 წელიწადში ერთხელ) ამოწურვამდე არანაკლებ 6 თვით ადრე უნივერსიტეტი ვალდებულია შეატყობინოს პერსონალს ატესტაციის ჩატარების შესახებ.

2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ატესტაციის ჩატარების ვადის, ეტაპების, ატესტაციის შედეგების გამოქვეყნების და სააპელაციო განაცხადის ვადების განსაზღვრის შესახებ სამსახურებრივ ბარათს, რის საფუძველზეც გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტი. აღნიშნული სამართლებრივი აქტი გამოიცემა არანაკლებ უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის ვადის ამოწურვამდე 2 თვით ადრე.[1]

3. ატესტაციის ვადის განსაზღვრიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება საატესტაციო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი;

ბ) დარგის სულ მცირე ერთი სპეციალისტი;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

დ) სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის წარმომადგენელი;

ე) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის წარმომადგენელი.

კომისიის შემადგენლობაში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი ან სხვა მოწვეული პირი.

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი ან ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ატესტაციის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური, ხოლო საატესტაციო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საატესტაციო კომისიის მდივანი, რომელიც ამავდროულად შეიძლება იყოს კომისიის წევრი ან ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც არ შედის კომისიის შემადგენლობაში.

6. საატესტაციო კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 4. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის საფუძველზე შეფასება

1. უვადოდ არჩეული პერსონალის შეფასება ხორციელდება საატესტაციო კომისიის მიერ წინამდებარე წესის პირობების და უნივერსიეტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

---

1 სამართლებრივი აქტით ატესტაციის ვადის განსაზღვრიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური ვალდებულია უვადოდ არჩეულ პერსონალს წერილობითი ფორმით აცნობოს ინცორმაცია ატესტაციის ჩატარების თარიღის შესახებ.

2. ატესტაცია ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კომისია ადგენს პირის მიერ ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების საკითხს. მეორე ეტაპზე გადასულად ჩაითვლებიან ის პირები, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია/თვითშეფასების ანგარიში იქნება სრულ შესაბამისობაში ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან. საატესტაციო კომისია ადგენს შესაბამს ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და კომისიის მდივანი

3. ატესტაციის მეორე ეტაპზე კომისია ატარებს უვადოდ არჩეულ პერსონალთან გასაუბრებას, რომლის შეფასების კრიტერიუმები დადგენილია ამ წესის დანართი №2-ით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

4. ატესტაციის შედეგები აისახება კომისიის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და მდივანი. ატესტაციის შედეგების საფუძველზე საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) პერსონალი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შედეგების შესახებ ინფორმაციას ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური წერილობითი ფორმით ატყობინებს უვადოდ არჩეულ პერსონალს არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

6. უვადოდ არჩეული პერსონალის ატესტაციის შედეგები ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის მიერ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით. უნივერსიტეტის რექტორი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტს პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან გაგრძელების თაობაზე.

7. რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა კონკურსის შედეგების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 5. საჩივრის განხილვა

1. უვადოდ არჩეული პერსონალი უფლებამოსილია საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს უნივერსიტეტში.

2. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.

3. საპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შედიან ატესტაციის კომისიის წევრები. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს:

ა) დარგის სპეციალისტი აკადემიური პერსონალი ან უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი;

ბ) ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

გ) მოწვეული პერსონალი.

4. სააპელაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში [2] კომისიის შემადგენლობა განიხილავს სააპელაციო საჩივარს. საკითხის განხილავას ასევე შესაძლოა დაესწროს პერსონალი, რომელმაც გაასაჩივრა საატესტაციო კომისიის შედეგები და ისარგებლოს შემდეგი უფლებებით:

ა) მიიღოს საატესტაციო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება;

ბ) დაესწროს საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს სააპელაციო კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში.

5. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საატესტაციო მასალები, შეისწავლოს დოკუმენტაცია, მოისმინოს დაინტერესებული მხარის ახსნა - განმარტება და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება საკითხის გადაჩივრებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში:

ა) ძალაში დატოვოს საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება;

ბ) საატესტაციო კომისიას უკან დაუბრუნოს მასალები ხელახალი განხილვის მიზნით.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სააპელაციო კომისიის წევრები.

7. უვადოდ არჩეული პერსონალი უფლებამოსილია საატესტაციო ან/და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 6. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. ატესტაციის ვერ/არ გავლის საფუძველზე თანამდებობიდან განთავისუფლებული პერსონალი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სხვა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

2. წინამდებარე წესი გავრცელდეს უვადოდ არჩეულ პერსონალზე, რომელთაც არჩევის მომენტიდან უწევთ ამ წესის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პირველი ატესტაციის გავლა.

3. ამ წესის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს დაევალოს უვადოდ არჩეული პერსონალისთვის წესის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

---

[2] სააპელაციო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღის, დროის, ადგილის შესახებ ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეს აწვდის ადამინური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური გონივრულ ვადაში.

დანართი №1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში[3]

გვარი, სახელი	
დაკავებული აკადემიური თანამდებობა	
აფილირება	□ დიახ □არა
საერთო ქულა *(ივსება უნივერსიტეტის მიერ)*	
აკადემიური წელი	
შევსების თარიღი	

№	**აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა**	**აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღწერა** *(გთხოვთ მიუთითოთ ორიგინალის ენაზე)*	**საქმიანობის განხორციელების თარიღი**	**საქმიანობისთვის განკუთვნილი ქულა**	**პერსონალის მიერ დაგროვებული ქულა** *(ივსება უნივერსიტეტის მიერ)* [4]
1	სტატიების გამოქვეყნება შემდეგი კატეგორიის ჟურნალებში: ტომსონ როიტერსის ბაზაში (Web of Science) ინდექსირებული ჟურანლები იმპაქტ-ფაქტორის (IF – Impact Factor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI – Science Citation Index) მაჩვენებლებით; ELSEVIER-ის პუბლიკაციების ბაზასა და Scopus-ის პლატფორმაზე ინდექსირებული ჟურნალები სიმაგოს ჟურნალების რეიტინგის (SJR – SCImago Journal Rank) ინდექსის მაჩვენებლით. სხვა მსგავს რეიტინგულ ბაზებში ინდექსირებული ჟურნალები. [5]			50 ქულა	

[3] *აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ქუთაისის უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობით დაგროვებული ქულების მიხედვით.*

[4] *მტკიცებულების გარეშე წარმოდგენილი აქტივობები არ შეფასდება.*

[5] *რეინტინგული ბაზები, რომლებსაც გააჩნიათ ჟურნალის რეიტინგის შეფასების ფუნქცია/ჟურნალების სარეიტინგო სია.*

	(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიას)				
2	სტატიების გამოქვეყნება Google Scholar-ის ბაზაში ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიას)*			15 ქულა	
3	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) [6] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და მოხსენების დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ მოხსენებას)*			15 ქულა	
4	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) [7] [8] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ ნაშრომს)*			8 ქულა	
5	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) [9] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და მოხსენების დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ მოხსენებას)*			10 ქულა	

[6] *სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომით კონფერენციაზე გამოსვლას და იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.*

[7] *კონფერენციაში დაუსწრებელი მონაწილეობა (კონფერნეციის კრებულში აბსტრაქტის/ნაშრომის მითითებით).*

[8] *სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომის კონფერენციის კრებულში დაბეჭდვასდა იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.*

[9] *სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომით კონფერენციაზე გამოსვლას და იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.*

6	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) [10] [11] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ ნაშრომს)*			5 ქულა	
7	დაფინანსებული საგრანტო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა *(გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის დეტალები: ფონდის სახელწოდება, პროექტის სახელწოდება, განხორციელების ვადები, ოფიციალური ვებ-გვერდი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ პროექტს)*			35 ქულა	
8	დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში მონაწილეობა (ძირითადი პერსონალი) *(გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის დეტალები: ფონდის სახელწოდება, პროექტის სახელწოდება, განხორციელების ვადები, ოფიციალური ვებ-გვერდი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ პროექტს)*			20 ქულა	
9	გამოგონება პატენტი *(გთხოვთ, მიუთითოთ დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ პატენტს)*			50 ქულა	
10	მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ გამოშვება *(გთხოვთ, მიუთითოთ სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის სათაური, ISBN, გამოცემის წელი, ელ. ბმული, და სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოცემულ მონოგრაფიას / სახელმძღვანელოს)*			50 ქულა	

[10] *კონფერენციაში დაუსწრებელი მონაწილეობა (კონფერნეციის კრებულში აბსტრაქტის/ნაშრომის მითითებით).*

[11] *სტატიის დუბლირების შემთხვევაში (რაც გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომის კონფერენციის კრებულში დაბეჭდვას და იგივე სტატიის ჟურნალში გამოქვეყნებას), ქულა ენიჭება მხოლოდ ერთ აქტივობას.*

11	მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება *(გთხოვთ, მიუთითოთ სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის სათაური, ISBN, გამოცემის წელი, ელ. ბმული, და სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ გამოცემულ მონოგრაფიას / სახელმძღვანელოს)*			40 ქულა	
12	წინამდებარე ცხრილის პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რედაქტორობას)*			20 ქულა	
13	წინამდებარე ცხრილის პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება. სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის რეცენზიას)*			15 ქულა	
14	Google Scholar-ის ბაზაში ინდექსირებული რეფერირებადი ჟურნალის რედაქტორობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ჟურნალის რედაქტორობას)*			10 ქულა	
15	Google Scholar-ის ბაზაში ინდექსირებული რეფერირებადი ჟურნალის რეცენზენტობა *(გთხოვთ, მიუთითოთ ჟურნალის დასახელება, ISSN, სტატიის სახელწოდება, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის რეცენზიას)*			5 ქულა	
16	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა			4 ქულა	

	(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციის სახელწოდენა, ჩატარების ადგილი, ჩატარების თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული აბსტრაქტის რეცენზიას/შეფასებას)				
17	ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა (გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციის სახელწოდენა, ჩატარების ადგილი, ჩატარების თარიღი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული აბსტრაქტის რეცენზიას/შეფასებას)			3 ქულა	
18	სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის რეცენზირება (გთხოვთ, მიუთითოთ სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის დასახელება, ISBN, სხვა დეტალები. მითითებული ქულა ენიჭება თითოეულ სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის რეცენზიას)			15 ქულა	
19	ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება *(გთხოვთ, მიუთითოთ ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის რეცენზიას)*			4 ქულა	
20	ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება *(გთხოვთ მიუთითეთ ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის რეცენზიას)*			6 ქულა	
21	საზღვარგარეთ ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა [12] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი, სტუდენტის სახელი*			10 ქულა	

[12] *ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაშრომების ხელმძღვანელობა.*

	და გვარი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობას)				
22	ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა [13] *(გთხოვთ, მიუთითოთ კონფერენციისა და ნაშრომის დასახელება, კონფერენციის ადგილი და თარიღი, სტუდენტის სახელი და გვარი. მითითებული ქულა ენიჭება თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობას)*			5 ქულა	

[13] *ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაშრომების ხელმძღვანელობა.*

დანართი №2 გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების თარიღი		პოზიციის დასახელება	

სახელი, გვარი	**ზეპირი კომუნიკაციის უნარი**	**პასუხების დამაჯერებლობა**	**კარიერული მიზნები/მოტივაცია**	**ანალიტიკური აზროვნების უნარი**	**დარგის სპეციფიკის ღრმა**	**უცხო ენა[14]**	**ზოგადი შთაბეჭდილება**	**ქულათა ჯამი**	**კომენტარი**
კანდიდატი									

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3 ბალიან სკალაზე, სადაც 3 მაქსიმალური, ხოლო 1 მინიმალური შეფასებაა (3 - კარგი, 2 - დამაკმაყოფილებელი, 1 - ცუდი). სასურველია, ქულას ახლდეს მოკლე განმარტება/აღწერა. კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალურ ქულათა 70%. ქულების გამოთვლა ხორციელდება შემფასებლების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.

[14] *საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ენ(ებ)ის ცოდნა*